საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

<u>თამარ ონიანი</u>

ბიულეტენი

კენჭისყრა - 17.06.2021	
თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ იქნეს ეკა ზარნაძე?	
დიახ	არა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი
თამარ ონიანი

2021 წლის 17 ივნისი, თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად ეკა ზარნაძის წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 7 ოქტომბრის №1/134 განკარგულების საფუძველზე დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 9 ვაკანტურ თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისადმი წარსადგენ კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა, რომელშიც სხვა კანდიდატებთან ერთად მონაწილეობა მიიღო ეკა ზარნაძემ.

კანდიდატების შესახებ მოპოვებული წერილობითი და მათი საჯარო მოსმენის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, 2021 წლის 27 მაისს ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით შევაფასე პროცედურაში მონაწილე 33 კანდიდატი, მათ შორის, ეკა ზარნაძე. შეფასების შედეგადაც მივიჩნიე, რომ ეკა ზარნაძე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ხოლო კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით მას 100 ქულიდან მივანიჭე 91 ქულა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 1 ივნისის №1/41 განკარგულების თანახმად, შესარჩევი პროცედურის შემდეგ ეტაპზე გადავიდა 9 კანდიდატი: გიორგი გოგიაშვილი, გოჩა აბუსერიძე, ლევან თევზაძე, ქეთევან მესხიშვილი, გიორგი შავლიაშვილი, რევაზ ნადარაია, ბიძინა სტურუა, ეკა ზარნაძე და ლაშა ქოჩიაშვილი.

,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად, 2021 წლის 17 ივნისს საბჭომ მითითებულ 9 კანდიდატთან დაკავშირებით ჩაატარა ღია კენჭისყრა მათი საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენის საკითხის გადასაწყვეტად.

კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის დონის გათვალისწინებით ეკა ზარნაძე შევაფასე დადებითად და მივიჩნიე, რომ ის სრულად აკმაყოფილებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობისათვის მოქმედი

კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ეკა ზარნაძემ დადებითი შეფასება მიიღო საბჭოს სხვა წევრებისგანაც. ამრიგად, მიმაჩნია, რომ ეკა ზარნაძე სრულად აკმაყოფილებს კანონით განსაზღვრულ ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს, რაც საფუძველია ჩემი გადაწყვეტილებისა - წარედგინოს საქართველოს პარლამენტს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად.

თამარ ონიანი